

საიდ. №71062/03
IR 1062202

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №117-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „რე/მაქს, ლღკ“ (RE/MAX, LLC) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №117-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 მარტის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №524/03 ბრძანების ბათილად ცნობა და გამოსახულებითი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. №71062/03 IR 1062202) დაცვის მინიჭება საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (35-ე და 36-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 მარტის №524/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ

წარმოდგენილი გამოსახულებითი ნიშანი დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი შეიცავს ჰოლანდიის სახელმწიფოს ნაციონალური დროშის გამოსახულებას, რაც შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ, ვინაიდან განმცხადებელი წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ხოლო სასაქონლო ნიშანი მიანიშნებს, რომ საქონელი არის ჰოლანდიიდან. ყოველივე ზემოაღნიშნული, ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „რე/მაქს, ლლკ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული გამოსახულებითი (BALLOON & BAR DESIGN) სასაქონლო ნიშანი, მცირე სახეცვლილებით, რეგისტრირებულია და დაცულია ქვეყნებში, რომელთა დროშებიც ზოლებით, ამ ზოლების ფერებითა და განლაგებით მსგავსია ამ ნიშანზე გამოსახული ზოლებისა და ფერებისა. კერძოდ ეს ქვეყნებია: ბენილუქსი (ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი), აშშ, რუსეთი, ჩილე, ხორვატია, ჩეხეთი, საფრანგეთი, სერბია, სლოვენია და სლოვაკია. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ ქვეყნის დროშა შეიცავს წითელ, თეთრ და ლურჯ ზოლს. აპელანტი არ ეთანხმება „საქპატენტის“ არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობდა გამოსახულებითი (BALLOON & BAR DESIGN) საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის IR 1062202 საქართველოში დაცვაზე უარის თქმის საფუძველი 35-ე და 36-ე კლასების მომსახურების განცხადებული ჩამონათვალისათვის. აპელანტის მითითებით, ნიშნის დანიშნულება არ არის მისი რომელიმე ქვეყნის, მათ შორის ნიდერლანდის სახელმწიფო დროშის სახით აღქმა. ნიშანი გამოიყენება, როგორც სავაჭრო აღნიშვნა და შესაბამისად, მომხმარებელი მას აღიქვამს არა როგორც დროშას, არამედ, როგორც განმასხვავებელუნარიან სასაქონლო ნიშანს. აპელანტის

განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია ამჟამად უკვე იყენებს ამ ნიშანს საქართველოში. სასაქონლო ნიშნის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ლურჯი, თეთრი და წითელზოლიანი საჰაერო ბურთი, რომელიც მოთავსებულია ასეთივე ლურჯი, თეთრი და წითელი ფერის ზოლებისაგან შედგენილ მართკუთხედზე. ასეთი საჰაერო ბურთი არის კორპორატიული სიმბოლო საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიისა „RE/MAX, LLC“ (რე/მაქს, ლლკ). აღნიშნული კომპანია დაარსდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1973 წელს და დღეისათვის იგი 90-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის 2014 წლის აპრილიდან ფუნქციონირებს საქართველოშიც. მეორე მხრივ, სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის 6ter მუხლი არეგულირებს ამ კონვენციის წევრი ქვეყნების სახელმწიფო ემბლემების, მათ შორის დროშების, დაცვის საკითხებს. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „(1)(a) კავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ უარი თქვან ან ძალადაკარგულად ცნონ რეგისტრაცია და სათანადო საშუალებებით აკრძალონ კავშირის ქვეყნების გერბების, დროშების და სხვა სახელმწიფო ემბლემების, მათ მიერ მიღებული კონტროლისა და გარანტიის ოფიციალური ნიშნებისა და დამღების სასაქონლო ნიშნების სახით ან ასეთი ნიშნების ელემენტებად გამოყენება და მათი ნებისმიერი იმიტაცია ჰერალდიკის თვალსაზრისით უფლებამოსილი ორგანოების ნებართვის გარეშე“. აპელანტის აზრით, ექსპერტის მიერ არასწორად არის გაგებული როგორც პარიზის კონვენციის ზემოთ მოყვანილი 6ter მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ასევე სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი. ექსპერტმა ჩათვალა, რომ საერთოდ არ შეიძლება სასაქონლო ნიშნად ისეთი სიმბოლოს რეგისტრაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო დროშას სრულად ან მის ნაწილს. მოცემულ შემთხვევაში სასაქონლო ნიშანი შეიცავს ნიდერლანდის სახელმწიფო დროშის არსებით ელემენტებს და ამ ელემენტების გამოყენებაზე უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის მოთხოვნის გარეშე ექსპერტმა გამოიტანა უარყოფითი გადაწყვეტილება საერთაშორისო

სასაქონლო ნიშნის დაცვაზე საქართველოში. პარიზის კონვენციის 6ter მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ხაზს უსვამს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ასეთი თანხმობა უნდა გასცეს უფლებამოსილმა ორგანომ, მაგრამ არ აკონკრეტებს, რომელი ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოზეა საუბარი. ე.ი. ასეთი თანხმობის გაცემის უფლება აქვს იმ ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოსაც, რომელ ქვეყანაშიც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის დაცვა. ამ მოსაზრებას ადასტურებს სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, რომლის პირველი ნაწილი არის ჩამონათვალი 4 პოზიციად დაყოფილი (ეს პოზიციები გამოყოფილია ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმით) იმ შემთხვევებისა, როდესაც სასაქონლო ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე (დაცვაზე): ”მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა უცხო ქვეყნის სახელმწიფო გერბს, დროშას, ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; საერთაშორისო ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; ოფიციალურ საკონტროლო, საგარანტიო, სასინჯო დამღას, ნიშანს (მათ შორის, საქონლის შესაბამისობის სასერტიფიკაციო ნიშანს), ბეჭედს, ორდენსა და მედალს; საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან ისტორიულ დასახელებას, გერბს, დროშას, ემბლემას, ფულის ნიშანს, ან წარმოადგენს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სიმბოლოების იმიტაციას”. ამასთან მე-4 პოზიცია, ანუ მთლიანად ამ შემთხვევების ჩამონათვალი, დასრულებულია წერტილით. ქვეპუნქტის მომდევნო ნაწილი კი ჩამოყალიბებულია ასე: „ასეთი სიმბოლოები სასაქონლო ნიშანში შედის დაუცველი ნაწილის სახით, თუ არსებობს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ან მფლობელის თანხმობა მათი გამოყენების თაობაზე“. თუ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის აღნიშნული ნაწილის შედარება მოხდება პარიზის კონვენციის 6ter მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომელიც არ ავალდებულებს, რომ თანხმობა უნდა გასცეს მხოლოდ დროშის მფლობელი ქვეყნის უფლებამოსილმა ორგანომ,

მაშინ, საკმარისი უნდა იყოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული თანხმობა საერთაშორისო სასაქონლო ნიშანში IR 1062202 ნიდერლანდის დროშის გამოყენებაზე. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის საქართველოში დაცვაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანამდე, „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ მოქმედი ინსტრუქციის“ მე-19 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, ექსპერტს უნდა გაეგზავნა განმცხადებლისათვის შეტყობინება საერთაშორისო სასაქონლო ნიშანში IR 1062202 ნიდერლანდის დროშის გამოყენებაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული თანხმობის წარმოდგენის მოთხოვნით. აპელანტის მითითებით, პარიზის კონვენციის წევრ ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად შვეიცარიაში) დაშვებულია სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენება მომსახურების ნიშნებისათვის და აპელანტის ნიშანიც მომსახურების სფეროსთვის არის განკუთვნილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 მარტის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №524/03 ბრძანების ბათილად ცნობას და გამოსახულებითი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. №71062/03 IR 1062202) დაცვის მინიჭებას საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების

შესახებ.” განცხადებულ გამოსახულებით (IR1062202) სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ იგი შეიცავს ნიდერლანდების სახელმწიფო დროშის გამოსახულებას, ხოლო უშუალოდ განმცხადებელი კომპანია წარმოადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებულ კომპანიას. კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული ნიშანი არ შეუქნის მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ და შესაბამისად თვლის, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ გათვალისწინებული ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ამავდროულად კოლეგია აღნიშნავს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა უცხო ქვეყნის სახელმწიფო გერბს, დროშას, ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას...“. განცხადებული ნიშანი წარმოადგენს მართკუთხედის ფორმის გამოსახულებას, რომელიც ერთმანეთის პარალელურად განლაგებული სამი სხვადასხვა ფერის ზოლისაგან შედგება. ზედა ზოლი შესრულებულია წითელ ფერში, ქვედა ლურჯ ფერში, ხოლო შუა ზოლი კი თეთრი ფერისაა. ამასთან, ნიშნის მარცხენა ზედა კუთხეში გამოსახულია საჰაერო ბურთი, რომელიც ასევე სამ - წითელ, თეთრ და ლურჯ ფერებშია გამოსახული. აღნიშნული რიგითობით შესრულებული ერთმანეთის პარალელურად, ჰორიზონტალურად განლაგებული ფერების - წითელი, თეთრი და ლურჯი კომბინაცია წარმოადგენს ნიდერლანდების სახელმწიფოს დროშის გამოსახულებას. ნიშანში არსებული საჰაერო ბურთი ანალოგიურად ასევე წითელ, თეთრ და ლურჯ ფერებშია გამოსახული. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა უცხო ქვეყნის სახელმწიფო ... დროშას...“. სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს, რომ

განცხადებული ნიშანი მისი ძირითადი ელემენტებით ემთხვევა ნიდერლანდების სახელმწიფოს დროშას და ამდენად მიიჩნევა, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადებული ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. ამავე ქვეპუნქტის თანახმად, „ასეთი სიმბოლოები სასაქონლო ნიშანში შედის დაუცველი ნაწილის სახით, თუ არსებობს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ან მფლობელის თანხმობა მათი გამოყენების თაობაზე“, შესაბამისად, კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო სიმბოლოს გამოყენებაზე ასეთი თანხმობის გაცემის უფლება აქვს იმ ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოსაც, რომელ ქვეყანაშიც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის დაცვა. კოლეგიას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, მფლობელში მოიაზრება ის ქვეყანა ან ტერიტორიული ერთეული, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული სიმბოლო. შესაბამისად, მსგავსი სიმბოლოების შემცველი ნიშნები ექვემდებარება რეგისტრაციას და ასეთი სიმბოლოები სასაქონლო ნიშანში შედის დაუცველი ნაწილის სახით, თუ არსებობს აღნიშნული სიმბოლოების მფლობელი ქვეყნების ან ტერიტორიული ერთეულების შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების თანხმობა. შესაბამისი თანხმობა აპელანტს, სააპელაციო საჩივრის განხილვის პროცესში არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. N71062/03 IR 1062202) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის

თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „რე/მაქს, ლლკ“ (RE/MAX, LLC) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 მარტის №524/03 ბრძანება გამოსახულებითი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. №71062/03 IR 1062202) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

ქ. კილაძე

დ. ჭიჭინაძე